# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 364

„8" დეკემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.003.01.084) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის,61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას" ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.003.01.084) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 20 ნოემბრის №20.1373.1698 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი №1-ში 17.00 კვ.მ. ფართის ბინა №84-ის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.19.27.009.003.01.084) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნინო მამადაშვილისთვის (პ/ნ:01001023960) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე